წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №22

ქ.წალენჯიხა 2017 წლის 20 ნოემბერი

ახალი მოწვევის საკრებულოს პირველი სხდომა გახსნა N68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ანნა მიქავამ.
საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა უხუცესი (დამსწრე წევრთაგან ასაკით უფროსი) წევრი ანზორ ძაძამია.

სხდომას ესწრებოდნენ:

ადგილობრივი თვითმმართველობის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების შედეგად არჩეული საკრებულოს წევრები: დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ალერიანე კვარაცხელია, თემურ ღვინჯილია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.
მუნიციპალიტეტის მერი ბესიკ ფარცვანია, მერის მოადგილე სევერიანე შეროზია, საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოების და მასმედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი:

1. N68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;
2. დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ;
3. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;
4. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
5. საკრებულოს უფლებამოსილების ცნობის შესახებ;
6. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;
7. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;
8. საკრებულოს ფრაქციების დაფუძნების შესახებ;

მოისმინეს:1. N68 წალენჯიხის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება;
საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ქ.ნ ანნა მიქავამ სხდომის დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა მოხსენება არჩევნების შედეგების, შემოსული საჩივრების, განცხადებებისა და საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის გამოვლენილი ფაქტების შესახებ, გააცნო არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი და დაადასტურა საკრებულოს შემდეგ წევრთა არჩევა:

დარეჯან დადიანი, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, სოლომონ სარია,დალი კვარაცხელია, ცოტნე მესხია,დავით ბელქანია, მანანა ჭანია, ასმათ კვარაცხელია, ვალერიანე კვარაცხელია, თემურ ღვინჯილია, გოჩა ლიპარტია, ანზორ ძაძამია, ზურაბ სამუშია, იაგო მიქავა, კახაბერ ჯოლოხავა, დავით ფიფია, ვლადიმერ კვარაცხელია, ბაკურ სონგულია, ლევან შელია, დათა კუკავა, თეა ხასაია, ბაჩუკი უბილავა, ნონა მიქავა, ნონა გუჩუა, ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია, დათა აკობია, ირაკლი ხარჩილავა, გიორგი აბულაძე.

ამასთან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ქ.ნ ანა კვარაცხელიამ მიულოცა მერად არჩევა ბატონ ბესიკ ფარცვანიას და უსურვა წარმატებები საქმიანობაში.

მოისმინეს:2.დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შესახებ;

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს არჩეულ წევრთა ხმათა უმრავლესობით , მომხრე 27, წინააღმდეგი -2 (ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) ღია კენჭისყრით, არჩეულიქნა დროებითი სამანდატო კომისია სამი პირის შემადგენლობით: ნონა მიქავა, ვალერიანე კვარაცხელია, თეა ხასაია. აღნიშნულმა კომისიამ კი თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, დროებითი კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ნონა მიქავა და მდივნად თეა ხასაია. (განკარგულება N 49).

მოისმინეს: 3. ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის არჩევის შესახებ;

სხდომაზე დამსწრე საკრებულოს არჩეულ წევრთა ხმათა უმრავლესობით , მომხრე 27, წინააღმდეგი -2 (ავთანდილ გაბელია, ელგუჯა მესხია) ღია კენჭისყრით არჩეულიქნა ხმის დამთვლელი დროებითი კომისია სამი პირის შემადგენლობით: გოჩა ლიპარტია სოლომონ სარია, დათა კუკავა. აღნიშნულმა კომისიამ კი თავისი შემადგენლობიდან, ღია კენჭისყრით, დროებითი კომისიის თავმჯდომარედ აირჩია გოჩა ლიპარტია და მდივნად სოლომონ სარია.(განკარგულება N 50).

სხდომის თავმჯდომარის ანზორ ძაძამიას მიერ გამოცხადებულიქნა შესვენება ნახევარი საათით, რომლის დროსაც სამანდატო დროებითმა კომისიამ ცალკე მათთვის გამოყოფილ ოთახში, განიხილა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ გადაცემული დოკუმენტაცია და მოამზადა დასკვნა, საკრებულოს წევრების უფლებამოსილების ცნობასთან დაკავშირებით.

მოისმინეს: 4. საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

დროებითი სამანდატო კომისიის დასკვნის საფუძველზე, ახალარჩეულმა საკრებულომ ერთხმად მიიღო განკარგულება საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შესახებ, სამანდატო დროებითი კომისიის მიერ წარმოდგენილი ერთიანი სიით. (განკარგულება N 51).

სხდომის თავმჯდომარემ ანზორ ძაძამიამ განმარტა, რომ ახლადარჩეული საკრებულოს პირველი მორიგი სხდომა შემდგარად ჩაითვლება, თუ საკრებულოს მიერ ცნობილი იქნა საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედის უფლებამოსილება. ცნობილიქნა 30–ვე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, ამ დროიდან უფლებამოსილება შეუწყდა წინა მოწვევის საკრებულოს.

მოისმინეს: 5. საკრებულოს თავმჯდომარის არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ ა. ძაძამიამ განმარტა, რომ კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე აირჩევა საკრებულოს წევრთაგან, სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტით, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით. თავმჯდომარის კანდიდატურას ასახელებს საკრებულოს მინიმუმ 3 წევრი. რის შემდეგაც მიმართა საკრებულოს წევრებს დაესახელებინათ საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურები.

კანდიდატების დასახელებამდე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობი-ს" წევრებმა ავთანდილ გაბელიამ და ელგუჯა მესხიამ პროტესტის ნიშნად დატოვეს სხდომათა დარბაზი.

საკრებულოს წევრების დალი კვარაცხელიას, მანანა ჭანიას, მაია მიქავას, ასმათ კვარაცხელიას, გოჩა ლიპარტიას და ბაკურ სონგულიას მიერ დასახელდა საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე თემურ ღვინჯილიას კანდიდატურა. სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

სხდომის თავმჯდომარის ა.ძაძამიას მიერ გამოცხადებულიქნა კანდიდატის სახელი და გვარი და კანდიდატისგან მიღებულიქნა თანხმობა კენჭისყრაზე. ამის შემდგომ, შედგა ბიულეტენი და ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

თემურ ღვინჯილიას ხმა მისცა 25–მა საკრებულოს წევრმა, ბათილი იყო–2 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა (განკარგულება N52) საკრებულოს თავმჯდომარედ თემურ ღვინჯილიას არჩეულად ცნობის შესახებ.

ამის შემდეგ საკრებულოს სხდომის თავმჯდომარეობა გააგრძელა საკრებულოს თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ.

მოისმინეს: 6. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ თ.ღვინჯილიამ განმარტა,რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის პრეროგატივაა და იგი აირჩევა ფარული კენჭისყრით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

გათვალისწინებით ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ წარდგენილიქნა დარეჯან დადიანის კანდიდატურა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

დარეჯან დადიანის ხმა მისცა 25–მა საკრებულოს წევრმა, ბათილი იყო–2 ბიულეტენი.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე დარეჯან დადიანის არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N53).

მოისმინეს: 7. საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"–ს დაფუძნების შესახებ;

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება -დემოკრატიული საქართველოს"-ს რეგისტრაციის საკითხი განიხილულიქნა დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილიქნა დასკვნა. აღნიშნული მიღებულია ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" ითვლება რეგისტრირებულად. (განკარგულება N54)

მოისმინეს: 8.საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"–ის დაფუძნების შესახებ;

საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ აღნიშნა, რომ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“–ის რეგისტრაციის საკითხი განიხილულიქნა დროებითი სამანდატო კომისიის სხდომაზე და წარმოდგენილიქნა დასკვნა. აღნიშნული მიღებულია ცნობად კენჭისყრის გარეშე და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ითვლება რეგისტრირებულად. (განკარგულება N55)

საკრებულოს ახალი მოწვევის პირველი სხდომა გაგრძელდეს 2017 წლის 22 ნოემბერს 15:00 სთზე.

სხდომის თავმჯდომარე
(უხუცესი წევრი): ა.ძაძამია

საკრებულოს თავმჯდომარე: თ.ღვინჯილია